საქართველოს თავდაცვის მინისტრის
ბრძანება

ქ. თბილისი

MOD 1 16 00000785

29/08/2016

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისში რეორგანიზაციასა და საშტატო ნუსხით დამტკიცებულ თანამდებობათა მოსალოდნელ შემცირებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 97-ე და 108-ე მუხლების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2016 წლის 26 სექტემბრიდან განხორციელდეს რეორგანიზაცია შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შესაძლო შემცირებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისის შემდეგ სტრუქტურულ ქვედანაყოფებში:
ა) ადმინისტრაცია და მასში შემავალი სტრუქტურული ქვედანაყოფები;
ბ) თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტი;
გ) ანალიტიკური დეპარტამენტი;
დ) პარლამენტთან ურთიერთობისა და სამართლებრივ საკითხთა დეპარტამენტი;
ე) ხარისხის კონტროლის დეპარტამენტი;
ვ) სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი;
ზ) ფინანსების მართვის დეპარტამენტი;
თ) საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტი.
2. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების დეპარტამენტმა უზრუნველყოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისის სამოქალაქო პირთა გაფრთხილება რეორგანიზაციისა და საშტატო ნუსხით დამტკიცებულ თანამდებობათა შემცირების შემთხვევაში სამსახურიდან მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ.
3. დაევალოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პარლამენტთან ურთიერთობისა და სამართლებრივ საკითხთა დეპარტამენტს შესაბამის ნორმატიულ აქტებში ცვლილებების განხორციელება.
4. ბრძანების შესრულების კონტროლი დაევალოს საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილეს **ნუკრი გელაშვილს**.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი
ლელა ჩიქოვანი